პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 57 (13178) | ოთხშაბათი, 10 მარტი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

1965 21 მარტი

არჩევნების შესახებ

ზრომითს ვახტზე

□ **ახალი** შრომითი მიღწევებით ეგებება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს თბილისის ელექტროტექნიკური ინსტრუმენტების ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც სიერთო პროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა 102,7 პროცენტით გაანაღდა, სასაქონლოსი — 103 პროცენტით და გეგმის გადამეტებით ათი ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

წინასარჩევნო სოციალისტურ შეჯიბრებაში სასახელო მიჩეულებლები მოიპოვა ნ. პაპანიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელიც ყოველთვიურად 20-25 პროცენტით აჭარბებს გეგმას. გამარჯვებული საამქროს (უფროსი შ. ლუდაკა) კოლექტივმა ეს 110 პროცენტით შესრულა ორი თვის საწარმოო დავალება.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ ენერგიულად შრომობს სამტრესტის თბილისის სარემონტო-მექანიკური ქარხნის კოლექტივი, რომელიც ორასტანდარტულ მოუყობილობას უშვებს ღვინის ქარხნებისათვის. ამასთან ერთად ის რაიონებში ადგილზე აწარმოებს ღვინის ქარხნების მანქანა-დანადგართა კაპიტალურ შეკეთებას.

ქარხნის კოლექტივმა 102 პროცენტით შეასრულა ორი თვის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.500 მანეთის პროდუქცია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელა თავი გ. ადამიანის ლიფონმწყობილობის დამამზადებელმა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელმაც ორი თვის საგეგმო დავალება 120 პროცენტით შეასრულა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საარჩევნო კომისიაში

9 მარტს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ი. ლოლაშვილმა.

კომისიამ მოისმინა: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორჯონიკიძის რაიონის საარჩევნო კომისიის მდივნის შ. კვინტრაძისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საარჩევნო კომისიის წევრის ქ. ცხაკაიას ინფორმაცია „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ორჯონიკიძის რაიონში", „უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გ. ფერაძის ინფორმაცია „არჩევნებისათვის მზადება კალინინის რაიონის № 14 საარჩევნო უბანში", თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნის ვ. ჩალაძის ინფორმაცია „თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ".

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული და რეგისტრირებული არიან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მოწინავე მუშები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

ქალაქში ფართო მასობრივი საagიტაციო მუშაობა გაჩაღდა მოსახლეობაში, რომლის მიზანია გაანმარტოს ამომრჩევლებს საბჭოთა საარჩევნო კანონი და დებულება არჩევნების შესახებ, საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკა.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ არჩევნებამდე დარჩენილი დღეების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამომრჩეველთა სიების შემოწმებას, არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მზადყოფნას.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ქალაქის საარჩევნო უბნებში [illegible] ხებისათვის მზადებაში. ეს დაწესებულებანი მასობრივი საagიტაციო მუშაობის ხანდაზული კერები გახდა. აქ ეწყობა ლექციები და მოსაუბრებები, წარმოების მოწინავეებთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრები. საინტერესო მუშაობას ეწევიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, რომლებიც ამომრჩეველებისათვის აწყობენ კონცერტებს, საღამოებს.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს მშრომელთა უაღრესად დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში. საწარმოებში, მშენებლობებზე დაწესებულებებში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება ნომავალი არჩევნების აღსანიშნავად. სარეწველო საწარმოთა მშრომელები არჩევნებისათვის მზადებას შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ახალი წარმატებებით აღნიშნავენ.

კომისიის სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ ი. ლოლაშვილმა. ამოცანა ის არის, თქვა მან, რომ კარგად განვუმარტოთ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის (1964 წ.) პლენუმების არსი და მნიშვნელობა. არჩევნებამდე რამდენიმე დღეა დარჩა. უნდა კიდევ უფრო აგაძაღლოთ მთელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, რათა კომუნისტებსა და უპარტიოებს ბლოკის ახალი ტრიუმფით, კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებით აღვნიშნოთ არჩევნები. (საქდესი).

კ ო მ უ ნ ი კ ე

კომუნისტური და მუშათა პარტიების ნარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ მოსკოვში

1965 წლის 1-5 მარტს მოსკოვში გაიმართა ავსტრალიის კომუნისტური პარტიის, არგენტინის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბრაზილიის კომუნისტური პარტიის, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, გერმანიის კომუნისტური პარტიის, ინდოეთის კომუნისტური პარტიის, იტალიის კომუნისტური პარტიის, კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, სირიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ფინეთის კომუნისტური პარტიის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრა.

შეხვედრას როგორც მეთვალყურენი ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა გამართეს კონსულტაციები ურთიერთ საინტერესო საკითხებზე, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები უთანხმოებათა დაძლევისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცების გზების შესახებ.

შეხვედრა მიმდინარეობდა ძმობისა და მეგობრობის ატმოსფეროში, გამსჭვალული იყო იმისათვის აქტიური ბრძოლის სულისკვეთებით, რომ კომუნისტური მოძრაობა შეკავშირდეს. თავიანი დიადი ისტორიული ამოცანების შესასრულებლად. შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი პარტიების მტკიცე მისწრაფება ყოველი ღონე იხმარონ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, მისი ერთიანობის განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და 1957 წლის დეკლარაციისა და 1960 წლის განცხადების განსაზღვრული ხაზის საფუძველზე.

პარტიების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიო განვითარების ძირითადი ტენდენციაა სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის აღმავლობა, იმ ძალების ზრდა, რომლებიც მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის იბრძვიან. ამავე დროს აღინიშნა, რომ მსოფლიო რეაქცია, უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმი, აქტიურდება მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, ცდილობს გაამწვავოს ვითარება, მიმართავს აგრესიულ აქციებს სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ, იმ ხალხმეფიოთა წინააღმდეგ, რომლებიც კოლონიური მონობისაგან განთავისუფლდნენ, ხალხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

ამ ვითარებაში ყველა კომუნისტურ პარტიას ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მოეთხოვება გამოიჩინონ თავიანთი ინტერნაციონალური პასუხისმგებლობის გაგება, შეკავშირდნენ საერთო ბრძოლისათვის იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ ეფექტიანი მონობისაგან განთავისუფლებელ მოძრაობას და დაცვან ხალხები, რომლებსაც თავს ესხმიან იმპერიალისტი აგრესორები, რომ იბრძოლონ საყოველთაო მშვიდობისათვის, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და მთლიანობის პატივისცემა.

შეხვედრის მონაწილეებმა თავიანთ განცხადებაში გამოთქვეს სოლიდარობა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიისადმი და მოუწოდეს ყველას საერთაშორისო სოლიდარობისაკენ ამერიკის სამხედრო ბროვის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალის — სოციალისტური თანამეგობრობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საერთაშორისო მუშათა კლასის შეკავშირებას. ამ ძალების შეკავშირების ინტერესებისათვის უადრესად საჭიროა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცება.

კომუნისტურ მოძრაობაში აზრთა სხვადასხვაობა ასუსტებს მის შეკავშირებას, ზიანს აყენებს მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეს, კომუნიზმის საქმეს.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა: ის, რაც კომუნისტურ პარტიებს აერთიანებს, გაცილებით ძლიერია იმაზე, რაც ამ მომენტში თიშავს მათ. იმ პირობებშიც კი, როცა არის უთანხმოებანი, რომლებიც ეხება პოლიტიკურ ხაზს, თეორიისა და ტაქტიკის ბევრ დიდმნიშვნელოვან პრობლემას, საკმაოდ შესაძლებელი და საჭიროა მიკაღწიოთ მოქმედების ერთიანობას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ყოველი ღონისძიებით მხარდაჭერის საქმეში. საყოველთაო მშვიდობისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლაში, განურჩევლად იმისა, ეხება საქმე დიდს თუ პატარა ქვეყნებს, — მუშათა კლასის საერთო ინტერესებისა და ისტორიული მიზნებისათვის ბრძოლაში.

ამ საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში ერთობლივი მოქმედება ამჟამად არსებულ უთანხმოებათა დაძლევის ყველაზე უტყუარი გზაა.

შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა კომუნისტურმა პარტიებმა განახორციელონ კოლექტიური ღონისძიებანი პარტიებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცებისათვის ყველა მოძმე პარტიის დამოუკიდებლობისა და თანასწორობის დემოკრატიული პრინციპების დაცვის საფუძველზე.

მთელი კომუნისტური მოძრაობის საერთო ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში მიზანშეწონილია გამოიყენოთ მთელი შესაძლებლობანი და გზები. მოძმე პარტიათა წარმომადგენლების ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები და პარტიული კავშირურთიერთობისა და აზრთა გაზიარების სხვა ფორმები.

შეხვედრის მონაწილენი ერთსულოვნად აცხადებენ, რომ თანამედროვე პირობებში, როგორც ეს აღნიშნულია 1960 წლის განცხადებაში, კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირები აზრთა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების, კოლექტიური ღონისძიებებით მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამდიდრებისა და საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში ერთიანი პოზიციების შემუშავების ეფექტიანი ფორმაა. ასეთი თათბირები, რომლებიც მოეწყობა თვითეული პარტიის სრული თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით, უთუოდ შეუწყობენ ხელს უთანხმოებათა დაძლევასა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ამიტომ შეხვედრის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ახალი საერთაშორისო თათბირის აქტიური ან ყოველმხრივი მომზადება და მისი მოწყობა შესაფერის დროს საკვლევი შეეხებამეტა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს.

ახალი თათბირის მოწვევისა და წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა მოკავშირეთა ერთიანობა, როგორც შინაარსის თვალსაზრისით, ისე ორგანიზაციულად. საერთო მეცადინეობით აქტიურად შეეკვნათ ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ თათბირის მომზადებაში მონაწილეობდეს ყველა მოძმე პარტია, ყოველნაირად ვეცადოთ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში ატმოსფეროს გაუჯობესებას. თათბირმა სამსახური უნდა გაუწიოს ყველა კომუნისტურ საერთო საქმეს. კომუნისტური მოძრაობის წინამდგომი აქტუალური ამოცანებისადმი ყურადღებისა და მეცადინეობის კონცენტრაცია ყველაზე მეტად დაეხმარება თანამედროვეობის ძირეულ საკითხებში ჩვენი პოზიციების დაახლოებას.

შეხვედრის მონაწილეებმა აზრი გამოთქვეს, რომ ახალი საერთაშორისო თათბირის საკითხის განხილვისათვის სასურველია მოეწყოს იმ 81 პარტიის წარმომადგენელთა წინასწარი საკონსულტაციო შეხვედრა, რომლებიც მონაწილეობდნენ 1960 წლის თათბირში. ასეთი წინასწარი შეხვედრის მოწვევის საკითხის გადასაჭრელად უნდა მოეწყოს კონსულტაციები ყველა ამ პარტიასთან.

ამ შეხვედრის მონაწილე პარტიების წარმომადგენლებმა მოითხოვეს შეწყდეს ღია პოლემიკა, რომელიც ატარებს არამეგობრულ, მოძმე პარტიებისათვის შეურაცხმყოფელი ხასიათს. ამასთან მათ სასარგებლოდ მიაჩნიათ ამხანაგური ფორმით, ერთმანეთს გაუკაცხავად განგრძონ აზრთა ურთიერთგაზიარება თანამედროვეობის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ. შეხვედრის მონაწილენი მოითხოვენ ზუსტად იქნას დაცული პარტიებს შორის ურთიერთობის ნორმები, რომლებიც დადგინეს 1957 წლისა და 1960 წლის თათბირებმა, და წინააღმდეგი არიან იმისა, რომ პარტიები ერთმეორის საშინაო საქმეებში ერეოდნენ.

გამოთქვამენ რა თავიანთ აზრს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში სიძნელეთა გადალახვისა და ამ მოძრაობის შემდგომი განვითარების გზების შესახებ, პარტიების წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ იმით, რომ საჭიროა ზრუნვა კომუნისტური რიგების მარქსისტულ-ლენინური ერთიანობის განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

პარტიების წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ შეხვედრას დადებითად გამოეხმაურებიან მოძმე პარტიები.

ARCHIVE



თესვა გაჩაღდა!

თესლი მიწას მიაგარეს

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ველ-მინდვრებში და ბაღ-ვენახებში დღითიდღე ფართოვდება საგაზაფხულო სამუშაოების ფრონტი, — განაცხადა საუბარში საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა. — მარტის თბილმა დარებმა ახალი ენერგია შემატა მხვნელ-მთესველებს. მექანიზატორები მასობრივად შეუდგნენ ნიადაგის თესვისწინა დამუშავებას.

ხელსაყრელ პირობებს ხელიდან როდი უშვებენ სოფელ აბისის კოლმეურნეობის მექანიზატორები. მათ რაიონში პირველებმა დაიწყეს ქერის თესვა. ტრაქტორისტმა ჩ. ირემაძემ და მთესველმა მ. ტყემალაძემ უკვე პირველ ათეულ ჰექტარზე მიაბარეს მიწას ქერის თესლი.

ქერის თესვას შეუდგნენ აგრეთვე ბრეთის, ურბნისისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

რამდენიმე დღეა გაჩაღდა თესვა მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დათესილია თავთავიანთა პირველი ჰექტარები. მინდვრად გატანილია ასობით ტონა მინერალური და ორგანული სასუქი. სურათზე: ქერის თესვა მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „დანთიაღში".

ფოტო ი. დავითაშვილისა და ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოკორესპ.).

თესავენ თელაველები

თელავი. (საკ. კორ.). შალაურის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ა. ჯაბახიშვილმა სამ დღეში 24 ჰექტარი მზესუმზირა დათესა, ხოლო საკვები და შაქრის ჭარხალი — 6 ჰექტარზე. ვარდისუბნის კოლმეურნეობამ პირველი ოცი ჰექტარი მზესუმზირა დათესა, გელეტლის კოლმეურნეობამ — 8 ჰექტარი.

უპატაკებენ სამშობლოს

▲ საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. თორიძე და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ვ. ჯაფარიძე რედაქციას ატყობინებენ, რომ მახარაძის რაიონმა ადრე ერთი თვით ადრე შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

მახარაძელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.558 ცენტნერი რძე ნაცვლად გეგმით დათვალისწინებული 2.200 ცენტნერისა, ანუ პირველი კვარტალის დავალება შესრულებულია 116 პროცენტით.

სახელმწიფოსთვის რძის მიყიდვა გრძელდება.

▲ საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. პაპარიძემ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე შ. ხინრელაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ჯილლაძემ რედაქციას ატყობინებენ, რომ კოლმეურნეობებმა 8 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები.

სახელმწიფოს მიჰყიდეს 640 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 550 ცენტნერისა; სახელმწიფოსათვის კვერცხის მოყიდვის გეგმა შესრულებულია 138 პროცენტით. სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

▲ ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა, — გვწერენ პარტიის ჩოხტაურის რაიკომის პირველი მდივანი რ. ყვინტარაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. მამალაძე და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი კ. დოლიძე, — ვადაზე ადრე, მ მარტისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

სახელმწიფოს მიეყიდა 405 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით დათვალისწინებული 400 ცენტნერისა. 1.078 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.000 ცენტნერისა. დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის კვერცხისა და ტუნგოს ნაყოფის მიყიდვის გეგმები.

▲ მცხეთის რაიონის მეცხოველეებმა, — გვატყობინებენ პარტიის მცხეთის რაკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, სოფლის მეურნეობის სამმართველო, — არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვეს. 1 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები.

რაიონის მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 567 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 540 ცენტნერისა, გეგმით დათვალისწინებული 1.930 ცენტნერი რძის ნაცვლად 1932 ცენტნერი რძე.

გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვა გრძელდება.

ᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლ. ბ. შასტრის მომავალი ვიზიტი სსრ კავშირში

საბჭოთა მთავრობამ სთხოვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ლალ ბაჰადურ შასტრის ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში. ლ. ბ. შასტრი მიწვევას მადლობით დათანხმდა.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ვიზიტი გაიმართება 1965 წლის 12-დან 19 მაისამდე. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ ᲐᲕᲚᲐᲜᲔᲗᲨᲘ

9 მარტს მოსკოვიდან ქაბულს გაუგზავნა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დ. ს. პოლიანსკი (დელეგაციის ხელმძღვანელი), უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. მარცინიუკი და სხვები.

დელეგაცია მეგობარ ქვეყანაში წავიდა ავღანეთის მთავრობის მიწვევით. იგი მონაწილეობას მიიღებს ზეიმში ჯელალაბადის საირიგაციო არხის გახსნის გამო.

ავღანეთის საერთაშორისო აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ნ. შელეპინმა და პ. ფ. ლომაკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

• • •

ჯელალაბადის საირიგაციო არხი 70 კილომეტრის სიგრძისა რთული საინჟინრო ნაგებობაა. იგი აშენდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით. არხის ნაგებობათა კომპლექსში შედის სამაგალითო კაშხალი 22 მეტრი სიმაღლისა და 140 მეტრი სიგრძის კაშხალით, 11 ათასი კილოვატიანი სამმლაკერის მიდროელექტროსადგური. არხზე აშენებულია სატუმბავი სადგური და 19 დიდი რკინაბეტონის მიწისქვეშა წყალსატარ-დიუქერი.

ჯელალაბადის საირიგაციო არხის მთელი კომპლექსის მოდმიდან ამშენებელის შედეგად მოიჩეწყვება 30,5 ათასი ჰექტარი მიწა, აქედან ნანგარჰარის პროვინციის 24 ათასი ჰექტარი უდაბური რაიონები.

ავღანეთის საზოგადოებრივ სამეურნეო სამინისტროს კომბალებისა და არხების მშენებლობის დეპარტამენტის უფროსმა მ. ლიდანმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ჯელალაბადის საირიგაციო სისტემა საბჭოთა და ავღანელი სპეციალისტების ინჟინრული აზრის ნიმეშია. (საკდესი).

მ. ს. სარიანი — სოციალისტური შრომის გმირი

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახალხო მხატვარს მარტიროს სერგის-ძე სარიანს მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო".

• • •

„სარიანის სალებავები" — ეს არის სომხეთის უხვი მზე, არარატის ქათქათა მწვერვალები, ოქროსფერი ყურძენი. მდიდარი და თავისებურია პალიტრა ამ საოცარი მხატვრისა, რომელსაც 85 წელი შეუსრულდა. ამ პალიტრას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ჯადოსნური პალიტრა. მშობლიური მიწის მომღერალი გვაჯარებს თითოეული თავისი ახალი ნამუშევრით. კანონზომიერია ის, რომ ხალხმა აღიარა მისი შემოქმედება. სარიანს ძალზე უყვარს სამშობლო, და ამ სიყვარულის მეოხებით იგი უაღრესად ხალხური მხატვარია.

(საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

მოსკოვი, 9 მარტი. (საკდესი). დღეს მეგობრობის სახლში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ინგლისის მეგობრობის საზოგადოების კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ომსკის, კალინინის, ულიანოვსკის, ესტონეთის, საქართველოსა და მოლდავეთის წარმომადგენლები. აქ შეკრებილნი სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ექიმები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები შეაჯამებენ საზოგადოებისა და მისი განყოფილებების შეიდწლიანი საქმიანობის შედეგებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, აირჩევენ ახალ გამგეობას.

კონფერენციის მონაწილეთა შორის არიან ინგლისის სახალხო რესპუბლიკის ფროფესორი ს. ბ. ბენეტი, ინგლისელ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციაც ჩამოსულ ინგლისელ კარდინალ ალ. ალ. ბენეტ-ბენეტ-ბენეტ-

1965 21 მაისი

მესტია ემზადება...

მესტიის რაიონის მშრომელები დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების არჩევნებისათვის.

რაიონში შექმნილია რაიონული საბჭოს არჩევნების 75 და სასოფლო საბჭოს არჩევნების — 269 საარჩევნო ოლქი, 41 საარჩევნო უბანი. ყველა საარჩევნო უბანთან შექმნილია აგიტპუნქტები, რომლებსაც უნარიანი და გამოცდილი ამხანაგები ხელმძღვანელობენ.

ამჟამად 250-ზე მეტი აგიტატორი ცოცხალ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა რაიონის მოსახლეობაში. ისინი გაერთიანებული არიან 19 აგიტკოლექტივსა და 41 აგიტპუნქტში.

კარგად მოაწყეს მუშაობა ლემსიის (გამგე დ. მერლანი), სეტის (გამგე ე. მარგიანი), ლანჩვალის (გამგე გ. რატიანი), ბაშის (გამგე რ. გურჩიანი), იფნაშის (გამგე ს. ფარჯიანი), ხაიშის (გამგე ს. ჭკადუა) და სხვა აგიტპუნქტებმა.

ლემსიის აგიტპუნქტმა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთან ეფრემ გულედანთან ერთად შეიმუშავა არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ამომრჩეველთათვის მოეწყოს ლექციებ-საუბრები, აგიტმბატვრული ბრიგადის გამოსვლები, კითხვა-პასუხის საღამო, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრა და სხვა ღონისძიებანი.

ამ გეგმის შესაბამისად აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ე. გულედანმა რამდენიმე საარჩევნო ოლქში უკვე ჩაატარა ლექციებ-საუბრები თემებზე: „სსსრ უმაღლესი საბჭოს 1964 წლის დეკემბრის სესიის შედეგები", „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში". ლენინერის სასოფლო კლუბთან არსებულმა აგიტმბატვრულმა ბრიგადამ სეფერა გულედანის ხელმძღვანელობით მოაწყო მბატვრული საღამო-კონცერტი.

არჩევნებთან დაკავშირებით პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დამატებით გამოაქვეყეს 50-ზე მეტი აგიტატორი და წაკეთხველ-მესაუბრე. გარდა ამისა, მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითს და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა 60-ზე მეტი პროპაგანდისტი, საზოგადოება „ცოდნის" ლექციებს „ტყე" გაუშვებიათ. ნავთსადენ მილებს მიდამო ობობასავით დაუქსელავს. დიახად, დამოშშბნებული მიედინება აქ მტკვარი. მორეული მეხლში თქ შეეტყობა ოდბავი ფერადა. ოთხნაკა ბორანმა გვერდიგვერდ გადაკვეთა კიბერთელა მდინარე.

ასპაის ზღვა გულამეურეული დაგვხვდა. მთების ოდენა ტალღების ტყლაშეი ადგილ-ადგილ ისმოდა ხელსაკულიერთ ვაკე ტრამალებში ქარი ზუზუნებდა. მწყემსები და ნაკაზები თარეს ირგვლივ ფეფლდნენ, ცხვარს ფხიზლად დარაჯობდნენ.

ზღვის ახლოს პირველი თერმის ბრიგადას, რომელსაც **ვიქტორ გამყრელიძე** მეთაურობს, „ცხვრისსფერ თბილი ფარეები" ეყვა. რვაასზე მეტი თოხლი ნორმალურად გამოეზამთრებინათ.

— რა ვინდათ, რა გეკერდებათ, — ეკითხება ბრიგადირს პარტიის თელავის რაიონის მეორე მდივანი **ა. ჯავახიშვილი.**

— ზამთარში მარტო საძოვრის იმედად რომ დავრჩენილიყავით, დიდ ზარალს ვნახავდით. მეყოფილი ვართ, რომ ჟამბინარებული საკვები არ შემოკკლებია. ახლა გაზაფხულდა, ბალახი ამწვანდა და ცხვარს დამატებითი კვება აღარ სჭირდება. საქართველოში ხელოვანი ტაბლრუნდებით.

ეპანისპირეთში მეორე ფერმის ბრიგადებიც მამაცობენ. ბრიგადაში, სადაც **შ. თემურიოლი, დ. მაილოვი** და სხვები შრომობენ, 1.200-ზე მეტმა თოხლმა უდაბნოლისოდ გამოზამთრა.

ბერეფდებოდით ოჯან და თვალწინ გვედგა ხელმარჯვე და მამაცი მეცხვარეები, რომლებიც სახალხო დოვლათს ქმნიან ალალი შრომით.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

სურათზე: თელავის რაიონის მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობის დადოლებული ცხვრის ფარა საზამთრო ადგილზე.

ფოტო მ. თელიაშვილისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

თეთრი ქარავნის ვაჟკაცებთან

თანდილა ლუკაკელიძე ჯერ ათი წლისა არ იყო, რომ ცხვარში წაიყვანეს. კომბლოთ ხელში დილიდან ღამემდე დასდიოდა სამწყემსოს. ღადარში გამოშცხვარი დათბებული პური იყო მისი საკვები. ზოგს თავის ქომაგს ყურშას აჭამეთ. ზოგს კი თვითონ შეიქცეოდა. საძოვარზე ბინდი რომ ჩამოწვებოდა, ცხვარს ფარეხში შელალავდა და თვითონ მხარეთქონზე წამოწოლილიდა. ღამენათევი ვარსკვლავების „ჩასვლა" და ცისკრის გამოჩენა იყო თანდილას ნიშანი. ცხვარს ალვის ყუთათან საძოვარზე მიერეკებოდა.

სიღარიბესა და სიდუხჭირეში გადიოდა წლები. და აი ოქტომბრის მზეშიც გაანათა. კლუბაკის ბედი შემობრუნდა. თანდილა წელში გასწორდა, საკოლმეურნეო შრომის მადლი იგემა. ოცდაათ წელზე მეტია საზოგადოებრივ ცხვარს მზრუნველობს და ჯერ პირი არ შეუტანია, ყვავილ მარჯვენას ულოცავს.

თანდილამ ორმოცდამეათე ზამთარი გაისტუმრა შირაქიდან. გაისტუმრა მშვიდობიანად, ცხვარს არაფერი დაჭკლებია, დაღამდება, თუ არა, მოხუცი „ღამურას" ანთებს და სარკესთან ერთად ნაამაგარს ანგარიშობს. ასე იყო იმ ღამესაც.

— შვიდასი ნერბიდან დღემდე დადოლებული იყო ხუთასი. დღეს ოცი „ძეობა" გადიგზავნეთ. სულ მიღებულია 520 ბატკანი. რას იტყვი, შედეგს ხომ არ დაგვწუნებენ?

— კარგია, ალაკ ვერ გვეტყვიან, — ამხნევებს ბრიგადირი **შოთა ოსორიული.**

მართლაც და ვინ იტყვის ოჭას. თუ არა სიმაღვრე, ცხვარს ზარალი მოუვიდოდა. ზამთარი ისე გავიდა, რომ მაწეა ნეტი არ ონახავს. ერთხელ წამოიქეფორა და ისაც მზეზ ოცბად გაკერო. ცხვარი, რომ არ დასუსტებულიყო, დეკემბრიდან დღემდე ქერსა და კომბინირებულ საკვებს აძლევენ.

— სანორის კოლმეურნეობას საკვები არა აქვს.

— ფშაველის კოლმეურნეობის ცხვრის ბინები უკარგისია.

— გულგულელებს ცხვარი ეხოციებათ.

— ართანის ფარებს მწყემსები აკლიათ.

თბილისის ყოველდღიურად იგზავნებოდა დეპეშები შირაქიდან. თელავში თათბირობდნენ, მსჯელობდნენ, დადგენილებებს იღებდნენ, მაგრამ ცხვარს ეს ვერ შველოდა. სიცხრილანობა 10-15 პროცენტს აღწევდა. ბორცს, მატყლს, ყველს ცოტას ღებულობენ, კოლმეურნეობებმა ყარგი გამოსავალი იპოვნეს. ერთხმად გადაწყვიტეს **შეექმნათ საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის მეურნეობა.** რაიონის ხელმძღვანელობამ ახალ წამოწყებას მხარი დაუჭირა.

კოლმეურნეობებმა მეცხვარეობის მეურნეობის საბჭო აირჩიეს. თავმჯდომარედ ბინები ბინდი, რომ ჩამოწვებოდა, ცხვარს ფარეხში შელალავდა და თვითონ მხარეთქონზე წამოწოლილიდა. ღამენათევი ვარსკვლავების „ჩასვლა" და ცისკრის გამოჩენა იყო თანდილას ნიშანი. ცხვარს ალვის ყუთათან საძოვარზე მიერეკებოდა.

სიღარიბესა და სიდუხჭირეში გადიოდა წლები. და აი ოქტომბრის მზემაც გაანათა. კლუბაკის ბედი შემობრუნდა. თანდილა წელში გასწორდა, საკოლმეურნეო შრომის მადლი იგემა. ოცდაათ წელზე მეტია საზოგადოებრივ ცხვარს მზრუნველობს და ჯერ პირი არ შეუტანია, ყვავილ მარჯვენას ულოცავს.

თანდილამ ორმოცდამეათე ზამთარი გაისტუმრა შირაქიდან. გაისტუმრა მშვიდობიანად, ცხვარს არაფერი დაჭკლებია, დაღამდება, თუ არა, მოხუცი „ღამურას" ანთებს და სარკესთან ერთად ნაამაგარს ანგარიშობს. ასე იყო იმ ღესაც.

— შვიდასი ნერბიდან დღემდე დადოლებული იყო ხუთასი. დღეს ოცი „ძეობა" გადიგზავნეთ. სულ მიღებულია 520 ბატკანი. რას იტყვი, შედეგს ხომ არ დაგვწუნებენ?

— კარგია, ალაკ ვერ გვეტყვიან, — ამხნევებს ბრიგადირი **შოთა ოსორიული.**

მართლაც და ვინ იტყვის ოჭას. თუ არა სიმაღვრე, ცხვარს ზარალი მოუვიდოდა. ზამთარი ისე გავიდა, რომ მაწეა ნეტი არ ონახავს. ერთხელ წამოიქეფორა და ისაც მზეზ ოცბად გაკერო. ცხვარი, რომ არ დასუსტებულიყო, დეკემბრიდან დღემდე ქერსა და კომბინირებულ საკვებს აძლევენ.

— სანორის კოლმეურნეობას საკვები არა აქვს.

— ფშაველის კოლმეურნეობის ცხვრის ბინები უკარგისია.

— გულგულელებს ცხვარი ეხოციებათ.

— ართანის ფარებს მწყემსები აკლიათ.

თბილისის ყოველდღიურად იგზავნებოდა დეპეშები შირაქიდან. თელავში თათბირობდნენ, მსჯელობდნენ, დადგენილებებს იღებდნენ, მაგრამ ცხვარს ეს ვერ შველოდა. სიცხრილანობა 10-15 პროცენტს აღწევდა. ბორცს, მატყლს, ყველს ცოტას ღებულობენ, კოლმეურნეობებმა ყარგი გამოსავალი იპოვნეს. ერთხმად გადაწყვიტეს **შეექმნათ საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის მეურნეობა.** რაიონის ხელმძღვანელობამ ახალ წამოწყებას მხარი დაუჭირა.

კოლმეურნეობებმა მეცხვარეობის მეურნეობის საბჭო აირჩიეს. თავმჯდომარედ **ივანე ბერიშვილი** ამოიჩიეს. ბერიშვილი ბინებზე ბინებზე ოჭვარდა. ბინებიდან ბინებიდან ნაბიჯებს ნერბის ბინებიდან ბინებიდან ბინებიდან

საქართველოს ხმა

საფიფი სიტუაცია

ბევრი ქვეყნის და სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებათა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები და თვალსაჩინო მოღვაწეები, პრესის ორგანოები გამოხატავენ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო წრეების აზრს და კვლავ მტკიცე პროტესტს აცხადებენ ამერიკის მხედრიონის საშინო პროვოკაციების წინააღმდეგ.

ამ პროვოკაციების წინააღმდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ომიდობის დასაცავად ახალი გამოსვლები გამოიწვია შემაშფოთებელმა ცნობამ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხედრო დესანტი გადასხეს სამხრეთ ვიეტნამში.

ამ პროტესტებს გვაუწყებენ დღეს საკადესის კორესპონდენტები.

ინგლისი. ამერიკის ლონდონის საელჩოს შენობის წინ წარსულ კვირაოდღეს გაიმართა ახალი საპროტესტო დემონსტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების ბინძური ომის წინააღმდეგ, რასაც ვიეტნამში აწარმოებს. მშვიდობის მომხრეთა დიდი ჯგუფი პიკეტობდა საელჩოს პლაკატებით: „ხელები შორს ვიეტნამისაგან!“, „ბოლო მოეღოს ამერიკის აგრესიას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ!“, „ამერიკის შეერთებულო შტატებო გაეთრიეთ ვიეტნამიდან!“.

მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოთ ამერიკის აგრესიას — ასეთი მოთხოვნები წაუყენეს მთავრობას ინგლისის ჩრდილო-დასავლეთის რაიონების „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის“ კონფერენციის დელეგატებმა.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა ჯონი ზილიაკუსმა განაცხადა, რომ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის, გაგზავნა ვიეტნამში შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ საერთაშორისო აგრესიად.

იტალია. „უნიტა“ გადაბერით გმობს ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარების რაზმების გაგზავნას და ახასიათებს ამას როგორც „შეტისმეტად საშიშ აქტს“, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ყველაზე სერიოზული შედეგები. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ვაშინგტონის ეს გადაწყვეტილება მოწმობს „უფსკრულის პირას ბალანსირების“ პოლიტიკის განხორციელებას, ტენდენციას უკიდურესობამდე გაიმწვანოს პროვოკაციები.

დასავლეთი ბერლინი. დასავლეთ ბერლინის პროგრესული ახალგაზრდობის ორგანიზაცია თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი მრისხანე პროტესტს აცხადებს ამერიკის მხედრიონის ბინძური ომის წინააღმდეგ. ორგანიზაციის წევრთა კრებაზე თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის დასავლეთ ბერლინის ხელმძღვანელობის პირველმა მდივანმა გერჰარდ შტოლემ ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთ ბერლინის პროგრესული ახალგაზრდობა მხურვალე სოლიდარობას უცხადებს სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა ბრძოლას.

ნორვეგია. ამერიკის ბომბდამშენთა უკანასკნელმა თავდასხმებმა ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე შექმნეს ახალი და მეტად საშიში სიტუაცია, აღნიშნულია ნორვეგიის სტუდენტთა საზოგადოების მოწოდებაში, რომელიც გაზეთებში გამოქვეყნდა. ბომბები ვერ გადაჭრიან ვერაფერთარ პრობლემას, ნათქვამია მოწოდებაში.

კანადა. ინდოჩინეთის ხალხთა კონფერენციის გენერალურმა მდივანმა, რომელიც პნომ-პენში მიმდინარეობს, ამერიკის შეერთებული შტატების კამბოჯის საელჩოს გაუგზავნა საპროტესტო განცხადება.

ინდოჩინეთის ხალხები, ხაზგასმულია განცხადებაში, მკაცრად გმობენ ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ჯარების აგრესიულ აქტებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. (საკადესი).

ამომრჩეველთა დიდი აქტივობა

ბუქარესტი, 9 მარტი. (საკადესი). ფინანსური მონაცემებით, დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა 7 მარტს გამართულ არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 99 პროცენტმა ხმა მისცა სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატებს. ამ ფრონტში გაერთიანებულია რუმინეთის მუშათა პარტია, პროფკავშირები, კოოპერაციული, ქალთა, ახალგაზრდობისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 12 მილიონ 400 ათასადმდე ამომრჩეველი. თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში. ამას იუწყება ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ეროვნული ხოხლოვის გათავისუფლებას

პარიზი, 9 მარტი. (საკადესი). პარიზში აკრედიტებულმა სოციალისტური ქვეყნების ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც მოითხოვენ გაათავისუფლონ გაზეთ „იზვესტიის“ კონგოელი (ლეოპოლდვილი) კორესპონდენტი ნიკოლოზ ხოხლოვი.

„უკვე თვეზე მეტია, რაც ნიკოლოზ ხოხლოვი ზის ლეოპოლდვილის საპატიმროში, — ნათქვამია განცხადებაში.

ერთადერთი ბრალდება, რომელიც მას წაუყენეს, ის არის, რომ გამოაქვეყნა სტატიები, რომლებიც არ მოსწონთ კონგოს ხელისუფლებს.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი თანამოძმის დაპატიმრება სერიოზული დარღვევაა ჟურნალისტის ყველაზე ელემენტარული უფლებებისა ისეთ პირობებში, როცა ივა ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობებს საზღვარგარეთ.

მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ნიკოლოზ ხოხლოვი, რომელმაც მხოლოდ შეასრულა თავისი პროფესიული მოვალეობა კონგოში“.

სტუმრად ინდოეთში

დელი, 9 მარტი. (საკადესი). შუა აზიისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტართა დელეგაციის წევრები, რომლებიც სტუმრად არიან ინდოეთში, დღეს შეხვდნენ ადგილობრივ ჟურნალისტებს და გაუზიარეს თავიანთი მთამბეჭდილებანი ინდოეთში მოგზაურობის შესახებ.

ჟურნალისტებმა დიდი ინტერესით მოუმინეს აგრეთვე დელეგაციის მეთაურს — უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ს. ნასრიდინოვს, რომელმაც ილაპარაკა შუა აზიის რესპუბლიკების ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ გადალახეს ეროვნული რუსეთის ეს ჩამორჩენილი რაიონები საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიან, აყვავებულ რესპუბლიკებად.

ი. ს. ნასრიდინოვამ ილაპარაკა იმ მშენებლობების შესახებ, რომლებიც იწოდეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სიმბოლოა და რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ დაათვალიერა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი მეგობარი ქვეყანა ნაყოფიერად თანამშრომლობს. მან თქვა, რომ ინდოეთისა და სსრ კავშირის პარლამენტების დელეგაციების გაცვლა, აგრეთვე კულტურული ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარება ინდოელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საიმედო გზაა.

ხვალ საბჭოთა სტუმრები სამშობლოში გამოფრინდებიან.

პრემიები—საბჭოთა კინოფილმებს

რომი, 9 მარტი. (საკადესი). საბჭოთა კავშირს მიენიჭა თასი იმ ფილმების საუკეთესო პროგრამისათვის, რომელსაც კორტინა დ'ამპეცოში უჩვენებდნენ სპორტული კინოფილმების XXI ფესტივალზე.

საბჭოთა სპორტულმა ფილმებმა ამ ფესტივალზე რამდენიმე ჯილდო დაიმსახურეს. იტალიის „ოლიმპიური კომიტეტის“ პრემია მიენიჭა კინოსურათს „ფიგურისტთა ოსტატობას“. ფილმმა „მაღლა მხოლოდ ცაა“, რომელიც მთამსვლელობას ეძღვნება, მოიპოვა „ კორტინას კომუნის თასი“. იტალიის „ოლიმპიური კომიტეტის“ ვერცხლის მედალი მიენიჭა კინოფილმ „ათვიდელებს“, სადაზღვევო კომპანიის „მინერვას“ თასი — ფილმს „აკადემიური ნიჭბოსნობა“, ტურისტული საგენტოს პრიზი — ფილმს „კრივი“.

სხვა პრემიათა შორის იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ვერცხლის თასი მიენიჭა ავსტრიას ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის ამხადველი კინოფილმისათვის, განათლების სამინისტროს თასი დაიმსახურა ინგლისურმა ფილმმა „რეგბის კანონები“. საუკეთესო სატელევიზიო სპორტულ ფილმად აღიარებულია იუგოსლავიური კინოფილმი „რბოლა“.

ვილსონი ლონდონში გაფრინდა

ბონი, 9 მარტი. (საკადესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ვილსონი, რომელიც ორი დღის ვიზიტად იყო ბერმანეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დღეს ლონდონში გაფრინდა.

მოლაპარაკება დამთავრდა

ბონი, 9 მარტი. (საკადესი). აქ დამთავრდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვილსონისა და კანცლერ ერჰარდის მოლაპარაკება. გამომქვეყნებულ კომუნიკეში მოლაპარაკების მონაწილეები აცხადებენ, რომ მზად არიან კეთილად შეისწავლონ დასავლეთის კოალიციის ატომური ძალების შექმნის საკითხი სხვა მთავრობებთან ერთად ნატოს პარიზის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

მოლაპარაკების დროს, როგორც კომუნიკედან ჩანს, განიხილეს გერმანიის პრობლემა, ინგლისსა და დასავლეთ გერმანიის სავაჭრო შეთანხმებათა პრაქტიკულად განხორციელების საკითხები, აგრეთვე ევროპის ეკონომიური გაერთიანებისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ურთიერთობის საკითხები.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ერჰარდმა მიიღო ვილსონის მიწვევა ესტუმროს ინგლისს, ამ ვიზიტის დრო დაზუსტდება.

ყოველდღიური მხრიდან

ჩილის პარლამენტის კენჭისყრა

სანტიაგო, 9 მარტი. (საკადესი). დამთავრდა ჩილის პარლამენტის არჩევნების კენჭისყრას შეჯამება. 147 ადგილიდან მმართველმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ დეპუტატთა პალატაში მიიღო 82 ადგილი, სახალხო მოქმედების ფრონტმა — 36, რადიკალურმა პარტიამ — 20. სენატში უმრავლესობა ახლა აქვს სახალხო მოქმედების ფრონტს — 18 ადგილი. მას მოსდევს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც აქვს 12 ადგილი.

ამ არჩევნებმა განამტკიცეს სახალხო მოქმედების ფრონტის პოზიციები, რომლის შემადგენლობაში შედიან კომუნისტური, სოციალისტური პარტია და სხვა პროგრესული ძალები.

„ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ განმტკიცდეს მშვიდობა“

სანტიაგო, 9 მარტი. (საკადესი). „ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ განმტკიცდეს მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, — განაცხადა ჩილის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდო ფრეიმ უცხოელ ჟურნალისტთა პრეს-კონფერენციაზე.

პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა პარლამენტის არჩევნების შედეგების გამო, რომელიც 7 მარტს გაიმართა. მან დაადასტურა თავისი მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. „ჩილის მთავრობა, — თქვა მან, — მომხრეა იმისა, რომ დამყარდეს დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, და მიაჩნია, რომ იდეოლოგიურმა უთანხმოებებმა ხელი არ უნდა შეუშალოს ასეთი ურთიერთობის განვითარებას“.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საელჩოს დაარსება სანტიაგოში და ჩილის საელჩოსი მოსკოვში ხელს შეუწყობს სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ჩილისა და საბჭოთა კავშირს შორის.

საიდუმლო მისიით

ლონდონი, 9 მარტი. (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, გამოირკვა, რომ დასავლეთ გერმანიის ჯანსაღების სპეციალური დესანი კურტ ბირნბახი ინკოგნიტოდ ჩავიდა ისრაელში. განხორციელდა სპეციალური ღონისძიებანი, რომ დაეფარათ დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლის ვიზიტი. როგორც აეროპორტის მუშაკებმა განაცხადეს, მისი გვარი ამომლილია მგზავრთა ყველა სიიდან.

ტელავიველი მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში ავიაელებდნენ ხმებს, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობა ისრაელში გზავნის სრულუფლებიან წარმომადგენელს, რათა შეარბილოს ზოგიერთი უთანხმოებანი, რაც წარმოიშვა იმის გამო, რომ ბონი აპირებს იარაღის მიწოდება შეუწყვიტოს ისრაელს. ინფორმირებულ წრეებში ფიქრობენ, რომ ბირნბახის ამოცანაა მოაწყოს წინასწარი მოლაპარაკება ისრაელისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უარი თქვა განეცხადებინა რაიმე, როცა მისცეს შეკითხვა ისრაელში ბირნბახის მისიის თაობაზე.

ელჩი გაიწვიეს

ლონდონი, 9 მარტი (საკადესი). საუდის არაბეთმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან გაიწვია თავისი ელჩი „კონსულტაციისათვის“. როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ეს ღონისძიება საუდის არაბეთის მთავრობამ განახორციელა ბონის იმ გადაწყვეტილების პასუხად, რომ დიპლომატიური ურთიერთობა დამყაროს ისრაელთან.

მექანიზებული თავდასხმა

ქანო, 8 მარტი. (საკადესი). ვიეტნამის სახალხო არმიის კავშირის მისიის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ხა ვან ლაუმ ვიეტნამის სამეფოვალუფრეო და საკონტროლო კომისიას გაუგზავნა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის თვითმფრინავებმა ახალი მეკობრული თავდასხმა მოახდინეს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

დღეს, 8 მარტს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე, ნათქვამია წერილში, ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ექვსმა რეაქტიულმა თვითმფრინავმა დაბომბა და ცეცხლი დაუშინა დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილში დასახლებულ პუნქტს, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას შეადგენს. თავდასხმა დაახლოებით ათ წუთს გაგრძელდა. არის მსხვერპლი, ადგილობრივ მოსახლეობას მიაყენეს ზარალი.

„შეერთებული შტატებისა და მათი აგენტების ეს ახალი პროვოკაცია, — აღნიშნულია წერილში, — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაა, ეწინააღმდეგება 1954 წლის შეთანხმებათა თავხედური დარღვევაა“.

საიგონის მისაღწევზე

პარიზი, 8 მარტი. (საკადესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, 24 კაცი დაიხოცა და 20 დაუჭრეს სამხრეთ ვიეტნამის ჯარებს სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა წარმატებით დამთავრებული რეიდების შედეგად, რაც გუშინ საღამოს და დღეს დილით მოაწყვეს.

საიგონის ხელისუფლები იტყობინებიან, რომ ეს რეიდები მოეწყო სულ მხოლოდ 30 კილომეტრზე საიგონიდან.

აგრესორთა მზეცობა

ნიუ-იორკი. (საკადესი). ამერიკელმა ექიმმა, რომელიც ექვსი თვეა მუშაობს სამხრეთ ვიეტნამის პროვინციულ ქალაქში, ჟურნალ „პროგრესივში“ გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღშფოთებით აღწერს ომის საშინელებებს და ტანჯვას, რასაც ამერიკელი აგრესორები და მათი სამხრეთვიეტნამელი მარionეტების ჯარები აყენებენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხს.

„არ შემიძლია ვდუმდე, — წერს დოქტორი დევიდ კინზი ქალაქ ჟუანგ-ნგაიდან — თითოეული ექიმის ცხოვრებაში, რაც უნდა ბევრი ენახოს ადამიანის ტანჯვა, წამებაც, თითოეული ადამიანის ცხოვრებაშიც, როგორი ცინიკურიც უნდა იყოს იგი, არის ხოლმე ისეთი მომენტი, როცა მოვალეა ყოველი საშუალებით გამიცაცხადოს პროტესტი, თანამოძმეებისათვის მიყენებული ბოროტების წინააღმდეგ. როცა ამ ბოროტებაში ბრალი მიუძღვის საკუთარ სამშობლოს, მისი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მატულობს. ამიტომ მე, თუმცა მოგვიანებით, ეუფრთდები ამათ, ვინც პროტესტს აცხადებს...

...უკანასკნელ ხანს, წერს დოქტორ კინზი, ჩვენს საავადმყოფოში სულ უფრო ხშირად მოჰყავთ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ომით არიან დაზარალებული. მაგალითად, ჩვენთან მოიყვანეს ორსული ქალი, რომელსაც ტყვიით ჰკრდა გახვრეტილი მუცელი; 12 წლის ცნობადაკარგული ბიჭი, რომლის ნათესავებმა თქვეს, რომ წინა ღამით მათ სოფელს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს; 50 წლის ქალი, რომელზეც ეჭვი მიიტანეს, რომ ვიეტკონგს უთანაგრძნობდა. მას სამი დღის მანძილზე ცემდნენ, აწამებდნენ ელექტრობით და ხელები დაუჭიზლეტეს ნემსით, რათა ეთქმევინებინათ რაიმე ვიეტკონგის შესახებ. მოიყვანეს სამი მშვიდობიანი გლეხი, რომლებსაც აგრეთვე ბრალად დასდეს, რომ ვიეტკონგს უჭერენ მხარს. გლეხები სიშინლად იყვნენ ნაცემნი და საავადმყოფოში მოიყვანეს მას შემდეგ, როცა მათი უდანაშაულობა გამოირკვა. ბევრი მსხვერპლის „დანაშაული“ ის არის, რომ ცხოვრობს ომ რაიონში, რომელსაც ვიეტკონგი დაესხა თავს.

რა თქმა უნდა, ომი ყოველთვის ბოროტებაა, მაგრამ განა ამიტომ ამერიკამ უნდა გაიძალიეროს ეს ბოროტება? ჩვენი სამხედრო მრჩეველები ვიეტნამელებს ასწავლიან ერთიმეორის მოსპობის თანამედროვე ტექნიკას. ჩვენი იარაღი საშუალებას აძლევს მათ უფრო ეფექტიანად ელეტონ ერთმანეთი. ეს ტექნიკა და ეს იარაღი არა თუ ხელს უწყობს ვიეტნამელი ხალხის განთავისუფლებას, არამედ იწვევს უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრებლების, ქალებისა და ბავშვების ტანჯვასა და ხოცვა-ყლეტას.

ზოგიერთი აშკარად ამბობს, ამერიკის ამოცანა ვიეტნამში ის არის, რომ თავი დაიცვას მძლავრი და ბოროტი მტრისაგან. ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო ამორალური განცხადება. ნუთუ ამერიკამ ამით უნდა დაიცვას თავისი არსებობა, რომ ღვარის მშვიდობიანი ვიეტნამელების სისხლი? ნუთუ ეს უდევს საფუძვლად ჩვენს სიღიადეს?“

◆

ამგვადებენ პროვოკაციებს

ნიუ-იორკი, 9 მარტი. (საკადესი). პენტაგონი ახალ პროვოკაციას ამზადებს ინდოჩინეთის რაიონში. ვაშინგტონიდან ამერიკის საგეგმეველოს ეუბნებიან, რომ ამერიკელ ოფიცრებს ეკრძალებიან „ეროვნული ფრონტის“ ამერიკის მეშვიდე ფლოტის საზღვაო და საავიაციო ძალები, როგორც იუნიატედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო აღნიშნავს, ამ აქციას დაწვრილებით განიხილავენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის შეიარაღებული ძალების სარდლის ადმირალ გრანტ მარპის შტაბში ჰავაის კუნძულებზე.

ასოშიეიტედ პრესის საგენტო აღნიშნავს, რომ მარპი, კერძოდ, აწონ-დაწონის შესაძლებლობას დაწესოს ამერიკის მეშვიდე ფლოტის ძალების „პატრულობა“, რომელშიც საგენტოს სტყვით, არის 125 ხომალდი და 650 თვითმფრინავი. „არ არის გამორიცხული დამატებითი ავიამზიდების გაგზავნის შესაძლებლობა.

პენტაგონის განზრახვა, დააწესოს „პატრულობა“ სამხრეთ ვიეტნამის ნაპირებთან, პრაქტიკულად არის სამხრეთ ვიეტნამის სწორედ იმ „სრული ბლოკადის“ შერმა, რასაც მოითხოვენ გოლდუოტერი, ნიქსონი და ომის სხვა ამერიკელი ვამჩაღებლები.

დასავლეთ ევროპის კავშირის საბჭოს სესია

რომი, 9 მარტი. (საკადესი). დღეს აქ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ფანფანის თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო დასავლეთ ევროპის კავშირის საბჭოს სესიამ, რომელშიც მონაწილეობენ „საერთო ბაზრის“ ექვსი ქვეყნისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.



ინდოჩინეთის ხალხებმა ომი გაუცხადეს ამერიკელ ინტერვენტებს. ინგლისელ ოფიცრებს ეკრძალებიან ეროვნული ფრონტის ამერიკელ ოფიცრებთან ურთიერთობა. ინგლისური „ტაიმსი“ ამ ფოტოს ამ ფოტოს ... ...

ლიტერატურული ( ) ჟურნალი

მხატვარი იცავს მშვიდობას

რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“



სახალხო ფერთამწერალი

საინტერესო წიგნი ნიკო ფიროსმანაშვილზე

ახლახან მოსკოვში გამომცემლობა „ისკუსტვომ“ გამოსცა ახალი წიგნი შესანიშნავი ქართველი სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

წიგნის ავტორია მხატვარი კირილე ზდანევიჩი. იგი საქართველოში დაიბადა და აქ გაატარა მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი. კირილეს მამა მიხეილ ზდანევიჩი შვილი იყო პოლონელი რევოლუციონერისა, რომელიც 1863 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გადმოასახლეს ვარშავიდან ქუთაისში.

მხატვრობის, პოეზიისა და მუსიკის სიყვარული, — წერს კირილე ზდანევიჩი, — მე და ჩემს მამას პოეტ ილიას დედამ — ვალენტინა კირილეს ასულმა გამეცნო. ილიას ჯერ კიდევ ჰაბუკი იყო, როცა პირადად გაეცნო ფიროსმანს და ძალიან დიდხანს მეგობრობდა კიდეც.

კ. ზდანევიჩის წიგნს ფიროსმანზე წამძღვარებული აქვს გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერალი კონსტანტინე პაუსტოვსკის წინათქმა — „მხატვრის ალმოჩენა“, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ შემოკლებით.

ესაუბრის აღმოჩენა

ყოველგვარი წინასიტყვაობის გვერდის ევლით მხატვარ კირილე ზდანევიჩს საკმაოა მადლობა ვეუბნოთ იმ ჭეშმარიტად უინგარო თავდადებისათვის, რაც მან გამოიჩინა. ზდანევიჩმა შეკრიბა ფიროსმანის სურათები, გადასცა ისინი ქართველ ხალხს და ამით მოიფიცოს ყველა ხალხს ფიროსმანი დიდ მხატვართა ამქარს აბრაამ და დავიწყებას გადაარჩინა.

ერთხელ ზდანევიჩმა, თვალი რომ მოკრა, უცნობი მხატვრის ნახელავს სურათს, რომელზეც ლარაბი კაცი იყო გამოსახული, მან იგრძნო ამ მხატვრის ძალა, მისი თავისებურება, მისი ეროვნული გენია და მოეწყო საქართველოში დაიწყო ფიროსმანის სურათების ძებნა-შეგროვება.

ზდანევიჩს ეს ამბავი დიდი შრომის ფასად დაუჯდა, ის ღარიბი იყო, ერთი ხანობა მე თბილისში ცხოვრობდი კირილეს მამის სახლში. გინ იცის, რამდენჯერ შეუსწრებიგარ, როცა ზდანევიჩებს ფიროსმანის სურათები შეუსყიდიათ და ამ ამბავს მთელი ოჯახი ცარიელ პურსა და წყალზე დაუსვამს. მხატვრის ცოლ ბაბარაში დარბოდა ხოლმე, რათა უკანასკნელი საყური ან ყელსაბი გაეყიდა თვითონ კირილე ხან ერთ მეგობარს მიადგებოდა, ხან მეორეს. რომ ცოტა ფული ეშოვნა და სურათს ვალი გაესტუმრებინა. კირილეს მამა მიხეილ კი, ძველი მასწავლებელი — პუნსიონერი, რომელიც ჩამორჩენილ, წელანგაყრილ ბაუშვებს ამეცადინებდა. გასაკვირველს წინასწარ ილებდა ხოლმე.

ფიროსმანის სურათების ძებნაში ზდანევიჩი ათასნაირ ხალხს ეცნობოდა — გლეხებს. მეჭაფერებს, მეღორეებს, ბოხეტიალე მუსიკოსებს... ყველას ერთს ეძებდა ბოდა. იქნებ სადღა ფიროსმანის სურათები მოძებნინოთო.

როგორც კი აღნობებდნენ აქა და აქ, ეთქვათ, მარტყოფში, კასპში ან ოფთაში ვიღაცას თვალი მოეკრავა აბრისათვის, რომელიც ფიროსმანისა უნდა იყოსო, ზდანევიჩი იმ წუთას იქით გაეშურებოდა და ხშირად ნადავლით დაბრუნდებოდა ხოლმე — ფიროსმანის ახალ დედანს ჩამოიტანდა.

ამ სურათების კვალდაკვალ დევნა არც ისე ადვილი იყო...

ვატკბებთ, ნამდვილად ეტკბებით ფიროსმანაშვილს დედებული, მოელვარე, უალრესად ცხოველი. და, ამასთან ერთად, მე ვიტყოდი, მაგიური (ისე, როგორც მაგიური, დიდებული და, ხშირად ოდომაღებით მოსილია ოვით კაკაბია) ბელოვნებით. დღეს ყველას შეეძლია, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირისპირ შეხვდეს ამ დიდ სახალხო ფერთამწერალს და მისი სურათების ძალური ზემოქმედების სიამოვნება განიცადოს.

**მადლობის ღირსია ზდანევიჩი, რომელმაც საკუთარი შემოქმედება საბჭოთა ეროვნულ მუზეუმს, ეროვნულ ხელოვნებათა ინსტიტუტს, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ეროვნულ ფოტოთეკას, ეროვნულ ფილარმონიას, ეროვნულ ოპერა-ბალეტის თეატრ